საგრანტო სახელმძღვანელო
სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის

ზოგადი ინფორმაცია

პროექტი **„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა“ (CDI-7)** ინიცირებული და დაფინანსებულია bp-სა და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიებში (BTC/SCP).

პროექტის მიზანია bp-ს და BTC /SCP მილსადენების არეალში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ჰარმონიული ურთიერთობის გაღრმავება, მათთვის სტაბილური საარსებო პირობების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის გზით

პროექტის სოციალური კომპონენტის ფარგლებში, „ქეა კავკასია“ ხელს უწყობს ადგილობრივი თემების მდგრად განვითარებას და მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული ინვესტიციების განხორციელებას. ამ მიზნით, „ქეა კავკასია“ აცხადებს საგრანტო კონკურსს სოფლის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სამიზნე არეალში მდებარე მუნიციპალიტეტების 98 სოფელში კერძოდ

გარდაბნის მუნიციპალიტეტი - ახალი სამგორი, აღთაკლია, ბირლიკი, ფოლადაანთკარი, გამარჯვება, ჯანდარა, კალინინო, კრწანისი, ახალი კუმისი, ლელაშხა, ლემშვენიერა, მზიანეთი, ნაგები, ნაზარლო, პობედა, ქესალო, ქვემო კაპანახჩი, სამგორის მეურნეობა (გამარჯვება I), თბილწყარო, ვახტანგისი, ყარაჯალარი, ყარათაკლია.

მარნეულის მუნიციპალიტეტი - ჯანდარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - ახალსოფელი, ზირბითი, დაღეთ-ხაჩინი, დურნუკი, ირაგა, ივანოვკა, ჯიგრაშენი, ქოსალარი, ქოთიში, სამშვილდე, წინწყარო, ჭივჭავი, ხაიში, მარაბდა.

რუსთავის მე-18 მიკრო რაიონის მე-5, მე-12, მე-12ა, მე-12ბ კორპუსები და მე-19 მიკრო რაიონის მე-4, მე-7, მე-9, 23-ე კორპუსები.

წალკის მუნიციპალიტეტი - აიაზმა, აშკალა, ავრანლო, კოხტა, ბარეთი , ბერთა, ბეშთაშენი, ბურნაშეთი, დარაკოვი, განთაიდი, გუმბათი, იმერა, არწივანი , საბეჭისი , ახალშენი , ქიზილ კილისა, კუში, ლივადი, ნარდევანი, ოზნი, ხარება, რეხა, საყდრიონი, ჩრდილისუბანი , სამადლო , წინწყარო, ხანდო.

ადიგენის მუნიციპალიტეტი - არალი, უდე, წარბასთუმანი, ვარხანი.

ახალციხის მუნიციპალიტეტი - ვალე, წყალთბილა, ნაოხრები, ჯულღა, წინუბანი (წყალთბილა), აბათხევი, ზემო სხვილისი, სხვილისი, ივლიტა, წყრუთი, წირა, მინაძე, კლდე, წნისი, აგარა, ზიკიალია, საყუნეთი, წინუბანი (აგარა), აწყური, თისელი, ტყემლანა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი - ტაბაწყური, მოლითი, ციხისჯვარი, ანდეზიტი, თორი, საკირე, ტაძრისი, დგვარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი - ტაბაწყური, მოლითი, ციხისჯვარი, ანდეზიტი, თორი, საკირე, ტაძრისი, დგვარი.

კონკურსის ფარგლებში პროექტი მხარს დაუჭერს იმ სათემო ორგანიზაციებს, რომლებმაც დღემდე წარმატებით განახორციელეს ინფრასტრუქტურული პროექტები „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ წინა ფაზებში, და ამავდროულად წაახალისებს იმ ორგანიზაციებსაც, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება არ გააჩნიათ.

საპროექტო განაცხადების წარდგენის საბოლოო თარიღია **2023 წლის 22 დეკემბერი 18:00 სთ.**

საგრანტო კონკურსის პირობები

ა. მიზნობრიობა

სოციალური ინფრასტრუქტურული გრანტები გაიცემა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც:

- მორგებულია თემის საჭიროებაზე და ასახავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესს;
- ხელს უწყობს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდას საბაზისო სერვისებზე, მათ შორის ახალგაზრდების, ქალების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების;
- ხელს უწყობს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას და/ან ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობას.

ყურადღება! საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია და არ დაფინანსდება ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა

ბ. გრანტის ფარგლებში არ დაფინანსდება.

- ადმინისტრაციული ხარჯები, გარდა ბუღალტრული მომსახურეობის, სათემო ორგანიზაციის რეგისტრაციის და აუცილებლობის შემთხვევაში პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად გაწეული ხარჯებისა (მაქსიმუმ 500 ლარის ფარგლებში.)
- სესხები და სესხის მომსახურების ხარჯები;
- უძრავი ქონების (მიწა, შენობები) შეძენა;
- საპროექტო ობიექტი, რომელიც კერძო პირის მფლობელობაშია
- ისეთი საქმიანობა, რომელიც გარემოზე მავნე ზემოქმედების საფრთხის შემცველია,
- ისეთი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს კონფლიქტურ სიტუაციას სამიზნე სოფლებში;

გ. ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა გრანტის მისაღებად?

- სათემო ორგანიზაციებს, რომლებიც რეგისტრირებულია პროექტის სამიზნე სოფელში, მიუხედავად იმისა განხორციელებული აქვთ პროექტი CDI-ის წინა ფაზებში, თუ არა
- ერთი სოფლიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა. იმ შემთხვევაში თუ სოფელში რამდენიმე სათემო ორგანიზაციას დამოუკიდებლად სურთ განაცხადის შემოტანა სხვადასხვა პროექტზე, მათ შორის პრიორიტეტული პრობლემა უნდა შეარჩიოს სოფლის საერთო კრებამ და საბოლოოდ კონკურსზე წარმოადგინოს კრების მიერ შერჩეული ერთი პროექტი.

დ. უპირატესობა მიენიჭება შემდეგ განაცხადებს:

- რომელიც სოციალური ეფექტის გარდა დადებით გავლენას ახდენს გარემოსდაცვითი მიმართულებით და/ან იძლევა ეკონომიკურ სარგებელს;
- რომელიც ხელს შეუწყობს თემში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სოციალური პრობლემის გრძელვადიან და ეფექტურ გადაწყვეტას; მათ შორის ახალგაზრდების, ქალების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების;
- რომლის განხორციელების შედეგად სარგებელს მიიღებს ორი ან მეტი სამიზნე სოფელი;

ე. გრანტების ოდენობა და განმცხადებლის თანამონაწილეობა

- სათემო ორგანიზაციებს, რომლებსაც განხორციელებული აქვთ მინიმუმ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, საშუალება აქვთ მიიღონ დაფინანსების მაქსიმალური თანხა 23,000 ლარის ოდენობით;
- სათემო ორგანიზაციებს, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება არ გააჩნიათ, საშუალება აქვთ მიიღონ დაფინანსება 15,000 ლარის ოდენობით;

- განმცხადებელს მოეთხოვება საგრანტო თანხის ღირებულების მინიმუმ 43%-ის თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. თანამონაწილეობა შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით (შრომითი წვლილი, სამშენებლო მასალები, სპეც. ტექნიკით მომსახურეობა, სატრანსპორტო ხარჯი). განმცხადებლის მხრიდან თემში ფულადი სახსრების შეგროვების შემთხვევაში, თანხა წინასწარ უნდა იქნას ჩარიცხული სათემო ორგანიზაციის ანგარიშზე;
- პროექტის დაფინანსების შემთხვევაში თავდაპირველად თემმა უნდა შეასრულოს თავისი წილის მაქსიმალური ნაწილი გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა გამოამჟღავნოს პროექტის განხორციელების სურვილი და მზადყოფნა. საგრანტო თანხა სათემო კავშირის ანგარიშზე ჩაირიცხება მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში.

ვ. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სისტემა

- განაცხადები თავდაპირველად შეფასდება ქეა კავკასიის შემფასებელი კომისიის მიერ განაცხადის ფორმაში მითითებული ქულების მიხედვით. შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. განმცხადებლების შერჩევა მოხდება ქულების რანჟირების სისტემით, კომისიის მიერ მინიჭებული უმაღლესი ქულების მიხედვით;
- საპროექტო განაცხადი (იხ. თანდართული განაცხადის ფორმა), რომელიც დააგროვებს 60 ქულაზე ნაკლებს, ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს;
- ქულების რანჟირებით შერჩეული საპროექტო განაცხადები პროექტის გუნდის მიერ შემოწმდება საველე შეფასების გზით და კომისიის საბოლოო დასკვნის საფუძველზე მოხდება შერჩეული განმცხადებლებთან საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმება;

კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ განმცხადებლებს ეცნობებათ ელ. ფოსტის საშუალებით.

ზ. საპროექტო განაცხადთან ერთად ჩასაბარებელი დოკუმენტები

- სარეაბილიტაციო პროექტი განხილული და დამტკიცებული უნდა იყოს სოფლის საერთო კრების მიერ და დადასტურებული მოსახლეობის ხელმოწერებით. (გთხოვთ გამოიყენოთ დართული ფორმა) აუცილებელია სოფლის კომლების მინიმუმ 60% ხელმოწერების მოპოვება. (თითოეული კომლი წარმოდგენილი ერთი ხელმოწერით). ხელმოწერების დედანი თან უნდა ახლდეს განაცხადს.
- პროექტი უნდა იყოს შეთანხმებული ადგილობრივ ხელისუფლებასთან და /ან ყველა სხვა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებასთან, რაც დადასტურდება პროექტის განაცხადის სატიტულო ფურცელზე მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით და ბეჭდით ან შესაბამისი დოკუმენტით.
- ადგილობრივი ინერტული მასალების გამოყენების შემთხვევაში (ქვიშა, ღორღი, ქვა), უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ნებართვა, მასალის რაოდენობის და დამუშავების ადგილის მითითებით;
- თუ პროექტის განხორციელება ეხება რაიმე სახელმწიფო ორგანიზაციის ან კერძო პირის ინტერესებს (კერძო ნაკვეთის კვეთა, გარემოს დაცვა, მელიორაცია, გზები, არქიტექტურა და სხვა), უნდა წარმოადგინოს პროექტის განხორციელებაზე ნებართვის წერილები ადგილობრივი ორგანოებიდან, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებიდან ან/და კერძო პირებისგან;
- სათემო ორგანიზაციას განაცხადის შეტანის მომენტისთვის არ უნდა ქონდეს ვალდებულებები და მისი ანგარიში არ უნდა იყოს დაყადაღებული. ამის დასადასტურებლად სათემო ორგანიზაციამ, განაცხადთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ბანკის ცნობა და განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- პროექტის თანადაფინანსების შემთხვევაში, ყველა წყაროსაგან (მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან) უნდა წარმოადგინოს საგარანტიო წერილი თანხის მითითებით.
- პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე და სამუშაოთა თანმიმდევრობის გათვალისწინებით, სამუშაოების გრაფიკი დაყოფილი უნდა იქნას ეტაპებად, სადაც ასახული იქნება პროექტის შესრულების სტადიები და ვადები (გთხოვთ იხილოთ განაცხადის ფორმა).

ყურადღება! პროექტით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა უნდა განხორციელდეს სათემო ორგანიზაციასთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ვადებში, მათ შორის თანამონაწილეობით განსაზღვრული შესყიდვები. ის შესყიდვები/მომსახურეობა, რომელიც განხორციელდება ხელშეკრულების დაწყების თარიღამდე, არ ჩაითვლება დადასტურებულ ფინანსურ

დოკუმენტად, გარდა სათემო ორგანიზაციის რეგისტრაციის ხარჯებისა, რომელიც ანაზღაურდება პროექტის დაფინანსების შემთხვევაში.

თ. საპროექტო განაცხადის წარდგენის წესი

საპროექტო განაცხადის გასაკეთებლად განმცხადებელმა უნდა ჩამოტვირთოს https://care-caucasus.org.ge/index.php?m=22&news_id=260 და შეავსოს განაცხადის ფორმა (გთხოვთ იხილოთ განაცხადის ფორმა) ქართულ ან რუსულ ენაზე და ხელმოწერილი და ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგინოს

(ა) ელექტრონული ვერსია ელექტრონული ფოსტის მისამართზე: Nina.Javakhishvili@care.org

(ბ) ან წარმოადგინოს ნაბეჭდი ვერსია ქეას ოფისის მისამართებზე:

წალკა, რუსთაველის ქ.#75
საკონტაქტო პირები: მურთაზ წულუკიძე, თემის მობილიზატორი
მობილური: 599 53 08 26;

ახალციხე, წმ. დავითის და კონსტანტინეს ქ. #21ა
საკონტაქტო პირები: ზურაბ იოანიძე, თემის მობილიზატორი
მობილური: 599 14 26 02;

თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა 14ბ
საკონტაქტო პირები: დავით გელუტაშვილი, თემის მობილიზატორი
მობილური: 591 215 674

ნაბეჭდი ვერსია განმცხადებელმა უნდა მოგვაწოდოს დალუქულ კონვერტში პირადად.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი კონვერტი დასათაურებული უნდა იყოს შემდეგნაირად: **„სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტი-CDI7“** ასევე, კონვერტზე მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სოფელი, სათემო ორგანიზაცია, პროექტის დასახელება)

არ მიიღება განაცხადი, რომელიც წარმოდგენილი იქნება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტის განაცხადის ფორმა

სათემო ორგანიზაციის დასახელება _____	**საიდენტიფიკაციო ნომერი** _____	
მუნიციპალიტეტი _____	**სოფელი** _____	
სათემო ორგანიზაციის თავმჯდომარე	**საკონტაქტო ინფორმაცია** ტელ: _____	

_____	ელფოსტა: _____	
ხელმოწერა: _____	ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერთან		
სახელი, გვარი _____ თარიღი: _____		ხელმოწერა: _ _____ ბეჭედი

პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	
განხორციელების ადგილი	
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	ლარი
მოთხოვნილი საგრანტო თანხა	ლარი
თემის თანამონაწილეობა *(საგრანტო თანხის მინიმუმ 43%)*	ლარი
პროექტის ხანგრძლივობა	თვე
სოფელში რეგისტრირებული კომლების რაოდენობა (ოფიციალური მონაცემი)	
სოფელში არსებული კომლების რაოდენობა (რეალური მონაცემი)	

ყურადღება! განაცხადის შევსებისას შესაძლებელია გამოიყენოთ დამატებითი ფურცლები, საჭიროების შესაბამისად.

1. პრობლემის აღწერა, რის მოგვარებასაც ემსახურება პროექტი და მისი აქტუალურობა, (10 ქულა)
(გამოკვეთეთ მთავარი პრობლემა და პრობლემის აქტუალურობა. მიმოიხილეთ ის უარყოფითი შედეგები, რასაც აღნიშნული პრობლემის მოუგვარებლობა იწვევს, მათ შორის, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის. აღწერეთ ობიექტის ძირითადი პარამეტრები, როდის შევიდა ექსპლუატაციაში, აქამდე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რა მდგომარეობაშია ამჟამად, (მოქმედია თუ არა)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

2. პროექტის აღწერა (15 ქულა)

(პროექტის მთავარი მიზანი, დაასაბუთეთ, რომ დასახელებული მიზნის მიღწევის შემთხვევაში მთავარი პრობლემა მოგვარდება, რა სარგებელს მოუტანს პროექტი თემის მოსახლეობას, რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას გეგმავთ და როგორ შეიცვლება ობიექტის პარამეტრები რეაბილიტაციის შედეგად, რაში გამოიხატება თემის თანამონაწილეობა)

3. სათემო ორგანიზაციის კვალიფიკაცია და გამოცდილება (10 ქულა):

3.1 სათემო ორგანიზაციის სტრუქტურა (რამდენი წევრია და როგორაა ფუნქციები გადანაწილებული). (3 ქულა)

3.2 ჩამოთვალეთ თქვენი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები (3 ქულა)

#	პროექტის დასახელება	წელი	საერთო ღირებულება	თემის წვლილი	დამფინანსებელი
1					
2					
3					
4					
5					
6					

3.3 გთხოვთ აღწეროთ, რა მდგომარეობაშია ამჟამად თქვენს მიერ განხორციელებული პროექტები, ფუნქციონირებს თუ არა დღემდე, როგორ ხდება შედეგების შენარჩუნება/მოვლა-პატრონობა (4 ქულა)

4. პროექტის მოსარგებლეთა ჯგუფების აღწერა (10 ქულა)

(აღწერეთ ვინ იქნებიან პროექტის მოსარგებლე ჯგუფები)

პირდაპირი მოსარგებლე	**არაპირდაპირი მოსარგებლე**
კომლი:	კომლი:
სული:	სული:

5. პროექტის მდგრადობა (10 ქულა):

(აღწერეთ, როგორ მოხდება პროექტის შედეგების შენარჩუნება, როგორ გეგმავთ ფულადი თუ არაფულადი რესურსის მოზიდვას მოვლა-პატრონობისთვის მომდევნო წლებში, თანხის საჭიროების შემთხვევაში ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი თანხის შეგროვებაზე, მის განკარგვაზე და თემთან ანგარიშვალდებულებაზე)

6. პროექტის დამატებითი მოსალოდნელი შედეგები (5 ქულა)

(გამოკვეთეთ, მოახდენს თუ არა პროექტი დამატებით გარემოსდაცვით და/ან ეკონომიკურ ეფექტს, მიიღებს თუ არა პროექტის შედეგებით სარგებელს ერთზე მეტი სამიზნე სოფელი, მონყვლადი ჯგუფები, ახალგაზრდები, ქალები?)

7. კონფლიქტის და რისკების შეფასება (10- ქულა)

7.1. კონფლიქტის შეფასება (5 ქულა)

(აღწერეთ რა სახის სირთულეები, კონფლიქტური გარემოებები შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელებისას? ვისთან ან რასთან იქნება დაკავშირებული ეს სირთულეები და როგორ გადაჭრით მას)

7.2 რისკების შეფასება (5 ქულა)
(იხ. თანდართული ექსელის ფაილი)

8. ბიუჯეტი (20 ქულა)
(გთხოვთ ბიუჯეტი წარმოადგინოთ თანდართული ფორმატის მიხედვით)
ყურადღება: პროექტით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა უნდა განხორციელდეს გადარიცხვით, დაუშვებელია საქონლის და/ან მომსახურეობის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით.
გაითვალისწინეთ, რომ განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი

9. სქემატური ნახაზი (10 ქულა)
(სარეაბილიტაციო ობიექტის სქემატური ესკიზი/ნახაზი ძირითადი პარამეტრების მითითებით. სოფლის მიმართ მდებარეობა, ზომები, წარმადობა, მილების ტიპი და დიამეტრი და ა.შ.)